“სააკაშვილს შესწევს უნარი, კრიტიკულ მომენტში პრინციპული გადაწყვეტილება მიიღოს!”

გაზეთი “ვერსია” – 2-3 ივნისი, № 63, 2008

საპარლამენტო არჩევნების დასრულების მიუხედავად ქვეყანაში პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა კვლავ მაღალია. მწვავე პოლიტიკური ბატალიები ინვესტირებისთვის შეუფერებელ გარემოს ქმნის, რაც ქვეყნის განვითარებისთვის არც ისე სახარბიელოა. პარალელურად კი ქართულ ეკონომიკას მსოფლიო ფინანსური კრიზისის მორევი ითრევს. რა პერსპექტივა აქვს ამ ფონზე არჩევნებგადატანილ საქართველოს, რომელსაც ახალი პარლამენტის შეკრებისას კიდევ ერთი წინასწარგამოცხადებული მიტინგის ქრონიკა ელოდება და შესაძლოა, ყველაფერი კიდევ უფრო გართულდეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, ყოფილი დეპუტატი, პროფესორი ლადო პაპავა გვესაუბრება:

– პოლიტიკური დაძაბულობა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომკაზე უარყოფითად აისახება. საქართველო დაწყებული 2007 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან პოლიტიკურად ტურბულენტურ მდგომარეობაშია. ჯერ იყო ნოემბრის მოვლენები, შემდეგ საგანგებო მდგომარეობა, საპრეზიდენტო და შემდეგ საპარლამენტო არჩევნები, მთლად სასიკეთო არ არის იმისათვის, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოთი ინტერესდებოდნენ და ბიზნესიც სტაბილურად განვითარდეს. მაგრამ ამავდროულად ეს არ არის ის არგუმენტები, რითაც ხელისუფლება ოპოზიციას და ხალხს შეიძლება ელაპარაკებოდეს. იმიტომ, რომ ყველაზე მეტად სწორედ ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული სტაბილურობით და პირველ რიგში მთავრობამ და ხელისუფლებამ უნდა იპოვოს გამოსავალი იმ სფეროში, სადაც პოლიტიკური დაპირისპირებაა და ამით ეკონომიკისთვის არასასურველი დაძაბულობის მოხსნას ხელი შეუწყოს.

– საარჩევნო პერიოდს გაზრდილი ხარჯების სახით ეკონომიკურად სხვა ნეგატიური მოვლენაც ახლდა. თუ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციებს გავითვალისწინებთ, ნებისმიერი

დამატებითი თანხების ბრუნვაში გაშვება ინფლაციურ პროცესებს უწყობს ხელს, თუმცა ამ საკითხზე მთავრობა თითქმის არ ლაპარაკობს...

– როდესაც ბრუნვაში ასეთი დიდი ოდენობით გადის თანხები, ეს პირველ რიგში სამომხმარებლო ბაზარს აწვება და ფასების ზრდას უწყობს ხელს, რომელსაც ადეკვატური ოდენობით სასაქონლო მასის ზრდა არ მოჰყვება, რაც საბოლოო ჯამში, ინფლაციას იწვევს. ჩვენთან ინფლაცია ისედაც საკმაოდ მაღალია. ოფიციალური ინფორმაციით, მარტში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 12,1 პროცენტიანი ინფლაცია დაფიქსირდა, რაც საკმაოდ მაღალია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ინფორმაციას გამოქვეყნების წინ მთავრობა სულ ცოტა ერთი მესამედით მაინც ამცირებს, სავარაუდოდ, სინამდვილეში მარტში წლიური ინფლაცია 18 პროცენტზე მეტიც უნდა ყოფილიყო. ასე, რომ ინფლაციური დატვირთვა ეკონომიკაზე ძალზე დიდია. შემოდგომაზე რომ კიდევ უფრო მაღალი იქნება, ესეც ცხადია, იმიტომ, რომ სამომხმარებლო ბაზარზე გაშვებული ფულის მასა არანაკლებ ინფლაციურ ეფექტებს მოგვიანებითაც მოგვცემს.

სხვათა შორის, არც ისე დიდი ხნის წინ პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა განცხადება, საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება ქვეყანაში ინფლაციური პროცესებიო. თუმცა მან ეს ყველაფერი მსოფლიო ბაზარზე სხვადასხვა პროდუქტის მათ შორის, ნავთობზე ფასების ზრდით ახსნა. რა თქმა უნდა, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ისეთი პროდუქცია ძვირდება, რომელიც, მთლიანად იმპორტით შემოდის, ეს ფასების საერთო დონეზე მართლაც აისახება. პრემიერ-მინისტრის არგუმენტი სწორია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ქვეყანაში ინფლაციაა. მეორე მიზეზი გახლავთ ის, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებს დღეს საქართველოს მთავრობა, რომელსაც საკმაოდ დიდი ხარჯები აქვს, და თავისი ქმედებით უშუალოდ სამომხმარებლო ბაზარზე ფულის მასის ზრდისკენ არის მიმართული.

– საკმაოდ აქტიურად ლაპარაკობენ მსოფლიოში დაწყებულ ფინანსურ კრიზისზე, იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები ქართულმა ბანკებმაც გააძვირეს...

– მსოფლიოში ფინანსური კრიზისი მართლაც დაწყებულია, რაც იმაში გამოიხატა, რომ მსოფლიოში თავისუფალი ფინანსური რესურსი შემცირდა, რამაც საკრედიტო რესურსის გაძვირება გამიოწვია. ასე, რომ ის რაც ქართულ

საკრედიტო ბაზარზრე ხდება, როდესაც ქართული ბანკები საპროცენტო განაკვეთებს ზრდიან, სულაც არ არის მარტო ქართული ფენომენი. ასეთი პროცესები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს. ქართულ ბანკებს ადრე სესაძლებლობა ჰქონდათ, ევროპული ბანკებიდან, საფინანსო ინსტიტუტებიდან მოეზიდათ შედარებით იაფი ფინანსები, რომელსაც საქართველოს ეკონომიკაში შედარებით დაბალი პროცენტით განათავსებდნენ. როდესაც ფინანსური კრიზისი სახეზეა, ევროპაში უკვე გაძნელდა თავისუფალი ფინანსური რესურსის მოძიება, რაც საბოლოოდ, ქართულ სინამდვილეზეც აისახა.

– საბანკო კრედიტებით საქარეთველოში ძირითადად სამი სფერო ფინანსდება ეს არის ვაჭრობა, მშენებლობა და მრეწველობა, რა პროცესებს უნდა ველოდეთ ამ დარგებში?

– კრედიტების გაძვირებას ეფექტი ორი სხვადასხვა მიმართულებით მოჰყვება. დადებითი ეფექტი არის ის, რომ საკრედიტო რესურსის გაძვირება მოკლევადიან პერიოდში ფულის მასის შემცირებას იწვევს და ინფლაციის ზრდის ტემპს ანელებს. მეორე მხრივ ამას ძალზე დიდი უარყოფითი ეფექტიც აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გაძვირებული კრედიტებით სარგებლობას ვეღარ შეძლებენ საწარმოები, ბიზნესი, რადგან საბანკო სესხის აღება მათთვის უკვე ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნება. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაც შეფერხდება.

– ნაციონალური დაპირებების ერთ-ერთი პუნქტი იაფი კრდიტის პროგრამაა. რამდენად შეამცირებს მისი განხორციელება იმ ნეგატიურ გავლენას რასაც ფულადი რესურსების გაძვირება იწვევს?

– იაფი კრედიტის მოცულობა იმდენად მცირეა, რომ ბაზარზე საპროცენტი განაკვეთის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ბევრ ქვეყანაში გამოიყენება იაფი კრედიტის მექანიზმი, მაგრამ საქართველოში არ არის იმ ოდენობის თანხები, რომ ამან საკრედიტო ბაზარზე სერიოზულად იმოქმედოს.

– ხელისუფლებამ საკუთარ თავზე საკმაოდ სერიოზული ვალდებულებები აიღო. ესაა სამუშაო ადგილების შექმნა, ადგილობრივი წარმოების განვითარება, ხალხის დასაქმება. თუ ქვეყანას ასეთი არასახარბიელო პერსპექტივა აქვს, მმართველი პარტია თავისი გეგმების შესრულებას როგორ შეძლებს?

– მოდით, ამის შესახებ თვითონ ხელისუფლებას ვკითხოთ და მერე მოვთხოვოთ კიდეც პასუხი. მაგრამ მე და თქვენ კი არა, ამაზე პასუხი მოსთხოვოს ხალხმა, მისმა ამომრჩეველმა. არის არერთი არასწორად გადადგმული და არაერთი საერთოდ გაუგებარი ნაბიჯი რომელიც არ შეიძლება, დადებითად შეფასდეს. ჩამოყალიბებული გეგმა, როგორ აპირებს ეკონომიკის განვითარებას, ხალხის დასაქმებას, ხელისუფლებას არ შეუქმნია. წინასაარჩევნო კამპანიამაც ისე ჩაიარა, ნაციონალურ მოძრაობას პროგრამა არ ჰქონია და რაც არ ჰქონდა იმაზე შეფასების გაკეთება გამიჭირდება. იმ დოკუმენტებს, რაც მთავრობას აქვს გამოქვეყნებული, გეგმა არ ეწოდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უკვე იუმორად იქცა ის 50 დღიანი გეგმა, რომელიც 152 დღეზე იყო გაწერილი. სხვათა შორის, 31 მაისი ამ გეგმის შესრულების ბოლო დრე იყო.

– ახლა უკვე 50 თვიანი გეგმა გვაქვს, ასე რომ დრო ჯერ კიდევ არის...

– შეიძლება 50 წლიანადაც გადაკეთდეს... საქმე გადაკეთებაში ხომ არ არის! პროგრამა კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი, მაგრამ ასეთი რამ არ არსებობს. არსებობს რაღაც კონკრეტული ნაბიჯები, მაგრამ ეს რატომ იქნება ეფექტის მომტანი ამის დასაბუთება მთავრობას არ დაუდვია.

– მთელ ამ პერიოდში ოპოზიცია პოლიტიკურად აქტიურობდა, თუმცა ეკონომიკურ პროცესებს მთლიანად ჩამოცილებული იყო, ხელისუფლების მიერ გადადგმული თუნდაც მიუღებელი ეკონომიკური ნაბიჯებისთვის მას წინააღმდეგობა არ გაუწევია და საზოგადოებას ჯერ კიდევ ახსოვს, როდესაც მთავრობამ ფინანსური პაკეტი შეიტანა პარლამენტში ერთადერტი დეპუტატი იყავით, ვინც მათ ნაბიჯს აკრიტიკებდა...

– პარლამენტში ოპოზიცია იმდენად მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი, რომ მას არ შეეძლო რაიმე საკითხის გატანა. თუნდაც 2007 წლის შემოდგომაზე ოპოზიცია აყენებდა საკითხს, რომ საჭირო იყო მევენახეობის სუბსიდირება, იმისთვის, რომ ხალხს ვაზი არ გაეჩეხა. ეს არც იმდენად დიდ თანხებს უკავშირდებოდა, რომ ძნელად შესასრულებელი ყოფილიყო. მაგალითად, რაჭაში ამისათვის მხოლოდ 5 მილიონი ლარი იყო საჭირო. ეს წინადადებაც კი ვერ გაიტანა ოპოზიციამ, აქ უკვე იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა რაოდენობრიობა თვისობრიობაში გადაიზრდება ხოლმე: ოპოზიციას, ჯერ კიდევ მოქმედ პარლამენტში, რომელსაც ამ დრეებში უკვე ვადა გუავა, არაერთი საკითხი დაუყენებია

სწორად, მაგრამ მათ ზემოქმედების მექნიზმი არ ჰქონიათ. ამიტომ ისინი ამ ტიპის საკითხებზე პასუხისმგებლობას ვერ გაიზიარებენ.

– ოპოზიციას არც ახალ პარლამენტში ეყოლება ფართო წარმომადგენლობა. როგორ ფიქრობთ, მათ მიერ გადადგმუ,ლი რა ნაბიჯი შეიძლება შეფასდეს სწორ გადაწყვეტილებად?

– საკითხების გატანის შესაძლებლობიდან გამომდინარე ოპოზიცია გინდა შესულა პარლამენტში და გინდა არა – ამით არაფერი შეიცვლება! იმიტომ რომ ხელისულებას 120 ხმაზე მეტი აქვს. ასეთი შედეგით ნაციონალური მოძრაობა ვარდების რევოლუციის შემდეგაც კი არ შესულა პარლამენტში. მაშინ ნაციონალურ მოძრაობას მაჟორიტარ დეპუტატებთან ალიანსის შექმნა დასჭირდა იმისათვის, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოეპოვებინა, დღეს მას ისეთი დიდი უპირატესობა აქვს, რომ ასეთი ალიანსის შექმნა არ სჭირდება. აქედან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე ოპოზიციას ნულოვანი ზეგავლენა ექნება. მისი შესვლა-არშესვლა იქნება მხოლოდ პოლიტიკურ ნაბიჯი, რომელიც მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება – შეიფუთება თუ არა ეს პარლამენტი ლამაზად და ფორმალურად იარსებებს თუ არა ოპოზიცია, იმისათვის რომ დემოკრატიულ პარლამენტად ჩაითვალოს. თუ არ შევა ოპოზიცია, გამოჩნდება რომ ეს ერთპარტიული პარლამენტია. თუნდაც 30 კაცი შევიდეს ოპოზიციიდან, პარლამენტი სინამდვილეში მაინც ერთპარტიული იქნება. კონსტიტიციურ უმრავლესობას 150 კაციან პარლამენტში 101 ხმა სჭირდება. უმრავლესობას კი სულ ცოტა 120 კაცი მაინც ეყოლება, მეტი თუ არა. აქედან გამომდინარე ოპოზიციის შესვლა-არშესვლა საერთაშორისო საზოგადოებისთვის იქნება განკუთვნილი, იმის საჩვებენებლდ ეს პარლამენტი მრავალპარტიულია თუ ერთპატრიული. ისევ იმ 5 მილიონიან სუბსიდიას გავიხსენებ, რომელიც რაჭაში მევენახეობის შენარჩუნებას უნდა მოხმარებოდა, ეს წინადადება იმიტომ არ გავიდა, რომ ოპოზიციამ წამოაყენა. მიხეილ სააკაშვილმა ცოტა ხნის შემდეგ თავად განაცხადა, რომ მევენახეობისთვის სუბსიდირება აუცილებელია და უპრობლემოდ შეიქმნა კიდეც სუბსიდირების სისტემა. ასე, რომ ის რაც ვერ გააქვს ოპოზიციას ადვილად ხელეწიფება ხელისუფლებას! აქამდე ოპოზიციას პრაქტიკულად არაფერი არ გაუტანია და არ მგონია მომავალში შეძლოს რამე. იქნებ ვცდები და რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოს, ღმერთმა ქნას, რომ ასე იყოს, თუმცა კი ძალზედ მეეჭვება...

– რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებას, მან ეს არჩევნებიც დადებითად შეაფასა და არც ბოლო პერიოდში ქვეყნის პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში გადადგმული ნაბიჯების მიმართ ჰქონია შენისვნები, როგორ ფიქრობთ, რა ხდება?

– ისინი მაინც შორიდან უყურებენ ყველაფერს და საკმაოდ რთულია ყველაფერი ერთმნიშვნელოვნად გააანალიზონ. საქმე იმაშია, რომ საქართველოში ადამიანებმა შესანიშნავად ვიცით, რომ ინფლაცია მაღალია. რამდენიც არ უნდა გვიმალოს ხელისუფლებამ ამას თითოეული ადამიანი შესანიშნავად გრძნობს. რაც შეეხება უცხოელებს, ისინი აქ არ ცხოვრობენ და წინასწარ აქვთ განწყობა შექმნილი, რომ დადებითად შეფასდეს ყველაფერი, რაც ქვეყანაში კეთდება. დადებითი მართლაც ბევრი რამ გაკეთდა მაგრამ სამწუხაროა, როცა აშკარა შეცდომებზე იგივე დასავლეთი თვალს ხუჭავს. არ ვიტყვი, რომ ყველა ყველაფერზე ხუჭავს თვალს. ევროკავშირი საკმაოდ დიდ უკმაყოფილკებას გამოთქვამს საქართველოში ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებასთან, სურსათის უვნებლობის საკითხის გადაუწყვეტლობასთან, შრომის კოდექსთან დაკავშირებით. ასე, რომ უცხოელი ექსპერტების მხრიდან საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით შეფასება მთლად იდეალურიც არ არის...

– ოპოზიცია და ხალხის გარკვეუყლი ნაწილი მომხრეა, რომ თუნდაც სახალხო აჯანყების გზით საპარლამენტო არჩევნების შედეგები შეცვალოს, როგორ ფიქრობთ, ეს ერთადერთი სწორი ნაბიჯია?

– ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, აჯანყებებისა, თუ გადატრიალებების მომხრე ნამდვილად არ ვარ. ძალზე გამიჭირდება, აჯანყების იდეა, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, მოვიწონო. სწორ ნაბიჯად მივიჩნევ, რომ ოპოზიცია მართლაც არ შევიდეს პარლამენტში და მთელმა მსოფლომ დაინახოს, რომ საქართველოში ერთპარტიული პარლამენტია. ამის შემდეგ გაჩნდება შანსი, რომ ქვეყნის იმიჯი გამოსწორდეს. სააკაშვილმა აჩვენა, რომ კრიტიკულ მომენტებში ამის უნარი აქვს. კერძოდ, როცა პარლამენტს ექვსთვიანი ვადა გაუვა კონსტიტუცია მისცემს მას უფლებას, რომ ახალი, რიგგარეშე არჩევნები დანიშნოს, რომელიც უფრო დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს, რადგანაც უფრო სამართლიანად იქნეს წარმოდგენილი საქართველოში არსებული პოლიტიკური ძალები. როდესაც ოპოზიცია ამბობს, რომ პარლამენტში არ უნდა შევიდეს, აბსოლუტურად სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია, მაგრამ როდესაც აჯანყებაზეა საუბარი, მხარდამჭერად ვერავის

გამოვადგები, ამას არც ერთ ქვეყანაში, და მათ შორის საქართველოშიც, სიკეთე არ მოუტანია. თუმცა მეორე მხრივ, თუ ხალხში არსებობს განწყობა, რომ აჯანყება მოხდეს, ამას ვერავინ ვერ შეაჩერებს. ამასთან ერთად მიმაჩნია, რომ ოპოზიციას პოლიტიკური რესურსები ბოლომდე არ ამოუწურავს და პარლამენტისთვის ბოიკოტის გამოცხადება ქმედითი ნაბიჯი იქნება. შესაძლოა, დასავლეთისთვის, რომელსაც თვალები ძალით აქვს დახუჭული, სიგნალი აღმოჩნდეს, რომ მათ მიერ დემოკრატიულად გამოცხადებულ ქვეყანაში ერთპარტიული პარლამენტი არსებობს. ქვეყნის იმიჯის გამოსწორებისა და ნატოში გაწევრიანების გზაზე მდგომი ქვეყნისათვის შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილმა ძალზე პრინციპული გადაწყვეტილება მიიღოს და როცა კონსტიტუცია მას ამის უფლებას მისცემს, ვადამდელი არჩევნები დანიშნოს...

ლალი ზირაქიშვილი